ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1883437

ნომერი: AR1307659

თარიღი : 06.05.2015

გაცემის თარიღი : 11.05.2015

გაცნობის თარიღი : 11.05.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 15 , (ნაკვეთი N16/61) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მთვარისა კაპანაძე პ/ნ 11001009889
- გლდანი IVმ/რ; კ.105; ბ. 166

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:
ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 28 თებერვლის #04.01.132 დადგენილებით საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი-შენობა-ნაგებობების ან და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებას, რომლის შესაბამისად ქალაქ თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე, გამზირებზე, ქუჩებზე, თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის და რეგულირების ზონის საზღვრებში, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე აიკრძალა გარე ვაჭრობის განხორციელება.
შესაბამისად ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სწორედ აღნიშნულ შეზღუდვის ზონაში, სამსახურს ნაყინის დახლის განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.